ბორჯომი

ბორჯომი

ბორჯომის რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

21 ივლისი
ხუთშაბათი
2022 წელი
№29 (9239)
ფასი 40 თეთრი

შეხვედრა იტალიის წარმომადგენლებთან

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი** იტალიის საგანგებო სიტუაციებისა და წითელი ჯვრის ორგანიზაციის წარმომადგენლებს შეხვდა.

საგანგებო სიტუაციებისა და წითელი ჯვრის ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ბორჯომის მერს გააცნეს იმ პროექტის დეტალები, რომლის მიზანია საგანგებო სიტუაციების დროს დროული რეაგირება წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით და ადრეული შეტყობინების განვითარება.

შეხვედრას ესწრებოდნენ სამცხე-ჯავახეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი აბრამაშვილი,** საქართველოს წითელი ჯვრის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **კახა მამულაძე,** საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამოქალაქო უსაფრთხოების წამყვანი სპეციალისტი **ვახტანგ ბოლქვაძე,** საგანგებო სიტუაციების მზადყოფნის ოფიცერი **მატილდე სანგალი,** ჰუმანიტარული ორგანიზაციის მოხალისეები **ორინა ვულპიანი** და **მარკო პაროდი,** ასევე წითელი ჯვრის საერთაშორისო დელეგატი კავკასიაში **ნაომი ორეანა,** მთავარი ექსპერტი **ლუიზ ბენგსონი** და წითელი ჯვრის ბორჯომის ფილიალის ხელმძღვანელი **ხათუნა ბაგაური.**

მიმდინარეობს წაღვერი-ციმოთესუბნის გზის რეაბილიტაცია

წაღვერი-ტიმოთესუბანი-ტაძარის საავტომობილო გზის 2 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტის შესაბამისად განხორციელდება საგზაო სამოსის რეაბილიტაცია, კიუვეტებისა და არსებული ხელოვნური ნაგებობების შეკეთება და ახლების მოწყობა. მოხდება გზის სავალი ნაწილის გაგანიერება, ადგილობრივ გზებთან მიერთებებისა და მოსახლეობის ეზოში შესასვლელების მოწყობა. ასევე, განხორციელდება გზის სავალი ნაწილის მონიშვნა, საგზაო ნიშნების მოწყობა და შემოფარგვლა. განახლებული გზა უზრუნველყოფს კურორტ წაღვერიდან სოფელ ტიმოთესუბნამდე განახლებული და კომფორტული გზით მგზავრობას. გაუმჯობესდება ადგილობრივი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები. ამ გზის კეთილმოწობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამსვენებლებისთვის და ტურისტული პოტენციალის გაზრდის თვალსაზრისით.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1.8 მლნ. ლარით ფინასდება და მისი დასრულება მიმდინარე წლის სექტემბერში იგეგმება.

დამთავრდა ისტორიული კავალერიის შენობის რესტავრაცია-რეაბილიტაცია

ბორჯომის კავალერიის შენობის რესტავრაცია-რეაბილიტაციისა და მუზეუმად ადაპტაციის პროექტი დასრულდა. IXX საუკუნეში აშენებულ შენობას რესტავრაცია აუთენტურობის სრული დაცვით ჩაუტარდა. შენობა შეიძენს ახალ ფუნქციას, რითაც თამამად უპასუხებს საზოგადოებრივად საინტერესო სამუზეუმო-საგამოფენო სივრცის მოთხოვნებს, ხოლო ბორჯომელებისა და დამსვენებლებისთვის გაჩნდება კიდევ ერთი საინტერესო ახალი მიზიდულობის ცენტრი, - ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, **ირაკლი ქარსელაძემ** ბორჯომში **„კავალერიის შენობის“** დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების დათვალიერების შემდეგ განაცხადა.

ბორჯომში, კოსტავას სახელობის პარკში მდებარე, ეგრეთ წოდებული კავალერის შენობის რესტავრაციისა და მუზეუმად ადაპტაციის პროექტი მოიცავდა შენობის სრული რეაბილიტაციისა და სამუზეუმო სივრცედ ადაპტაციის სამუშაოებს. აღდგენილ შენობაში მოეწყო საექსპოზიციო დარბაზები, რომელშიც განთავსდება ბორჯომის მხარეთმცოდნეობის ფონდში დაცული ექსპონატების ნაწილი.

გოთიკური სტილის კავალერიის შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, რომელიც IXX საუკუნეში აშენდა. შენობა აგებულია ბუნებრივი ქვით, აგურითა და ხით. რეაბილიტაციამდე შენობა დაზიანებულა. მისი უკანა ნაწილი ნაწილობრივ დანგრეული, სართულშუა გადახურვები და ინტერიერი კი სრულად განადგურებული იყო. სამუშაოების შესრულებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ინოვაციური მიდგომებით, შენობის კულტურული ღირებულების და ავთენტურობის მაქსიმალურ შენარჩუნებას.

პროექტი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მსოფლიო ბანკის 2.8 მილიონ ლარზე მეტის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

ირაკლი ქარსელაძე კავალერიის შენობის მიმდებარე, მერად კოსტავას სახელობის პარკის რეაბილიტაციის სამუშაოებსაც გაეცნო. პროექტს ბორჯომის მუნიციპალიტეტი პროგრამიდან **„განახლებული რეგიონები“** მიღებული დაფინანსებით ახორციელებს. სამუშაოები საბავშვო სივრცეების, ამფითეატრის, შადრევნის, საფეხმავლო ბილიკებისა და სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოწყობას ითვალისწინებს..

ქალაქი დაამშვენა

ბორჯომში რუსთაველის ქუჩის №115-ში ე.წ. ორბიტის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის რეაბილიტაცია დასრულდა.

პროექტის ფარგლებში შეიცვალა სახურავი, კარ-ფანჯრები, სრულად განახლდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადი, აივნების ვიზუალური ნაწილი, მოეწყობა დეკორატიული ელემენტები.

წლების მანძილზე მიტოვებულმა შენობამ, რომელიც ნაძვების ჩრდილში თითქმის არ ჩანდა, რეაბილიტაციის შემდეგ „თვალებში გამოიხედა“.

ფასადის რეაბილიტაციის პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან და რეგიონალური განვითარების ფონდიდან 471 109 ლარით დაფინანსდა.

ამ დროისათვის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია სააკაძის ქუჩის №2, აღმაშენებლის №35, მესხეთის №35 და №61 შენობაზე მიმდინარეობს.

საკურორტო ქალაქის იერსახის გალამაზება, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, შესაბამისად, საცხოვრებელი სახლების ფასადების, სადარბაზოების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია მომავალშიც იგეგმება.

ფასადების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში 2020-2022 წლებში ჯამში 11 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის რეაბილიტაცია განხორციელდება.

გაიმართა საკრებულოს კომისიის იურიდიულ საკითხთა კომისია

15 ივლისს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **მაკა მანჯავიძემ** კომისიის სხდომა გამართა, რომელსაც წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილიც** ესწრებოდა.

კომისიის წევრებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ .

დადგენილების პროექტი ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის №53 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი.

დადგენილების პროექტი სსიპ ბაკურიანის განვითარების სააგენტოსთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, საჯარიმო ქვითრისა და საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების, მათი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების, ჯარიმის გადახდის, გასაჩივრებისა და სააღსრულებლო ფურცლის გამოწერის წესის დამტკიცების შესახებ.

ასევე, იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრებმა მოისმინეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში.

პედაგოგების გამოცდები დასასრულს უახლოვდება

აბიტურიენტების გამოცდების შემდეგ დაიწყო პედაგოგების გამოცდები. ნებაყოფლობით გამოცდაზე 13 ათასი მასწავლებელი დარეგისტრირდა. სტატუსის ასამაღლებელი გამოცდები სასურველია და არა, აუცილებელი. ვალდებულებებიც როგორც წამყვანის, ისე მენტორის ბევრად მაღალი და მკაცრი მოთხოვნებითაა განწერილი. ბორჯომის მუნიციპალიტეტში შემავალი სკოლებიდან, მასწავლებლების 35 პროცენტმა გადაწყვიტა საკუთარი შესაძლებლობები კიდევ ერთხელ დაემტკიცებინა განათლების სამინისტროსთვის. როგორც წინასაგამოცდო სამზადისი მოითხოვდა ჩვენგან - ეს იყო ტრენინგების ორთვიანი უწყვეტი კურსი, (ვისთვის ფასიანი და უფრო საიმედო და ვისთვის უფასო), თავაუღებელი შრომა, შრომის კოდექსისა და „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის დასწავლა, ახალი მიდგომებისა და თუ უახლესი აქტივობების გაცნობა, სიტუაციური ამოცანების განხილვა ყოველდღიურ მოთხოვნად იქცა. სექტემბრის დასაწყისში გავიგებთ, რა შედეგით გავიარეთ გამოცდა, მაგრამ ეს, ბუნებრივია, იმისთვის უფრო მაღალშედეგიანი იქნება, ვინც გადადო გვერდზე ყველაფერი: ოჯახი, ბავშვები, საქმე და თავი მიუძღვნა რამდენიმე საათიან მეცადინეობებს. ვინც გაუძლო, ხომ კარგი და ვინც ვერა - ბევრი მათგანი დღეს ფსიქოლოგის ძებნაშია. რატომ? გარკვეულ სტრესს იწვევს გამოცდა. ახლა იტყვით, რით ვერ გასწავლეს ამდენი წელი და რითი ვერ დასრულდა ახალ-ახალი რეფორმებიო, მაგრამ არც ასეა საქმე. იმდენად ჩქარი ტემპია განვითარებისა, რომ ბავშვი გასწრებს ციფრულ ტექნოლოგიების გამოყენებაში და შენი მხოლოდ მონოტონურად მოყოლილი, მიწოდებული ცოდნა არ მოწონს, ათასგვარი გზა გვასწავლეს, რომ როგორმე მოსწავლის ინტერესი გააღვიძო და შესთავაზო მას მხოლოდ მის ინტერესებს და შესაძლებლობებს მორგებული დავალება. ადრე ასე ხომ არ იყო? 30 მოსწავლეს აძლევდა მასწავლებელი ერთი და იგივე დავალებას, დღეს ეს უკვე მოძველებული მიდგომაა, რადგან ყველა მოსწავლე (ადამიანი) სხვადასხვანაირია და თუ მე უნდა გადავწერო მოთხრობის პირველი აბზაცი და ასე მარტივს მავალებს პედაგოგი, ვიღაცას უფრო მაღალი განვითარების დონე აქვს და მას უფრო რთული უნდა შესთავაზო. ვიღაცა წერილობით, ვიღაც დახატულს, გამოძერწილს მოგიტანს. შეფასების კრიტერიუმებიც შესაბამისია. საბოლოოდ რა შედეგზე გავა სახელმწიფო პოლიტიკა განათლებაში და რას მივიღებთ, ამას მხოლოდ დრო და თაობათა მომზადების დონე გვიჩვენებს. დღეს ცალსახად გვეუბნებიან, რომ მასწავლებელი უნდა იყოს მკვლევარიც, რომლის ინტერესშია მოსწავლე და მასზე დაკვირვება, მისი სწავლის შედეგის გაუმჯობესება. ჩვენი მოვალეობა კიდევ ერთხელ შეგვახსენეს: გავზარდოთ დემოკრატიული მოქალაქე!

მონიკა ჟანტურია

ახალი ატრაქციონი ისტორიულ პარკში



ბორჯომის ცენტრალურ (ისტორიულ) პარკში ხის საბავშვო ატრაქციონის (ცისქესიმაგრე) მოწყობა მიმდინარეობს.

აღნიშნული ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 98 ათასი ლარი გამოიყო.

საჭიროდ სარეცხი მანქანა

ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ თაბუკაშვილების და მჭედლიშვილების ოჯახს, სამცხე-ჯავახეთის განვითარების ცენტრმა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, სარეცხი მანქანა გადასცეს.

მოწყვლადი ოჯახების გაძლიერება World Vision საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

აქტუალური ინტერვიუ

ამომწურავი პასუხები ახალი რეფორმის შესახებ

მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმა მთელი ქვეყნის მასშტაბით 59 მუნიციპალიტეტში დაიწყო - ამის შესახებ ინფორმაციას იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს. როგორც განცხადებაშია ნახსენები მოქალაქეებს შეეძლებათ, მიწის ნაკვეთები სრულიად უფასოდ დაიკანონონ. აღნიშნული ცვლილება მხოლოდ თვითმმართველ ქალაქებს არ შეეხებათ. არსებული საკითხის ირგვლივ, გაზეთ „ბორჯომის“ შეკითხვებს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე სოფლის მეურნეობის საკითხებში, ბატონი თეიდო მელიქიძე ამომწურავად პასუხებს:

● ბატონო თეიდო ახალი რეფორმის მიხედვით ვინ შეძლებს მიწის უფასოდ დაკანონებას?

- ძალიან გავრცელებული შემთხვევაა, რომ ადამიანები, მათი წინაპრები მიწას ფლობდნენ, სარგებლობენ, ზოგს სახლი აქვს აშენებული, ზოგი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით იყენებს, მაგრამ არავითარი საკუთრების უფლება ამ მიწის ნაკვეთებზე არ აქვთ. ძირითადად ორი შემთხვევა იკვეთება, - ან რეგისტრირებული არ არის ოფიციალურად ან საერთოდ არ არსებობს რაიმე საბუთი ან დიკუმენტი არსებული მიწის შესახებ. ოდესღაც თვითნებურად დასახლდა წინაპარი, გავიდა წლები, მაგრამ არავითარი დოკუმენტი მიწის ნაკვეთზე არ აქვთ. ეს ძალიან ხშირი შემთხვევაა. ასეთი ადამიანებისთვის კარგი ინფორმაციაა სწორედაც, რომ დაიწყო მიწის სიტემური რეგისტრაცია, რაც გულისხმობს შემდეგს: საჯარო რეესტრის წარმომადგენლები გაწერილი განრიგის მიხედვით ჩავლენ ადგილზე, აღრიცხავენ მიწებს, საკადასტრო ნახაზებს აიღებენ, დოკუმენტაციას გამოითხოვენ.

● მიწის სისტემური რეგისტრაციის უკვე დადგენილ გრაფიკზე რას იტყოდით?

- გრაფიკის მიხედვით მიწის სისტემური რეგისტრაცია ბორჯომში 2022 წლის სექტემბერის დასაწყისიდან დეკემბრის ბოლომდეა.

2023 წლის მარტში **ტაძრისში, ახალდაბაში, ყვიბისში.**

20024 წლის მაისიდან **დვირში, წალვერში, ტბაზე, ციხისჯვარში.** ამავე წლის სექტემბერში **ბალანთაში, ბაკურიანში, ტაბაწყურში.** აი, ეს არის ადმინისტრაციულ ერთეულებში საკადასტრო დაგეგმვითი, აზომვითი სამუშაოების დაწყების დრო.

● აღნიშნული კანონი თვითნებურად დაკავებულ მიწებზე ვრცელდება?

- ეს კანონქვემდებარე აქტი ასევე მოქმედებს თვითნებურად დაკავებულ მიწებზე. ეს იმას ნიშნავს, რომ, რა თქმა უნდა, სხვისი საკუთრება არ უნდა იყოს და სხვისი საკუთრების უფლებას არ უნდა ხელყოფდეს. საუბარია, როდესაც სახნავ-სათესად იყენებდნენ წინაპრები. არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც შენობა იყოს აგებული ამ მიწის ნაკვეთზე.

● თუ არის დამოკიდებული რამდენი ხანი სარგებლობს ამ მიწის ნაკვეთით ადამიანი?

- წლები არ არის დადგენილი, მაგრამ თუკი ადამიანს არავითარი დოკუმენტაცია არ აქვს, რომ ამ მიწას ფლობდა ან სარგებლობდა, აქ უკვე მეზობლების სანოტარო აქტით დამოწმებული თანხმობებია საჭირო, რომ აღნიშნული ადამიანი წლების განმავლობაში ნამდვილად იყენებდა და არა ამ კანონის გამოცხადების შემდეგ გადაწყვიტა ნაკვეთის მითვისება. ახლა კომისია ჩავა ადგილზე, თუკი არანაირი დოკუმენტაციით არ დგინდება საკუთრება და მფლობელობა აღნიშნულ ნაკვეთზე, მაშინ მეზობლების ჩართვა და სხვადასხვა მეთოდის (კანონის) გამოყენება მოხდება, რათა ნამდვილად დადგინდეს, რომ პირი წლების განმავლობაში იყენებდა ამ მიწის ნაკვეთს.

● მიწის ფართობში თუ არის რაიმე ლიმიტი?

- თვითნებურად დაკავებული მიწების შემთხვევაში, როდესაც მათი დაკანონება ხდება, გარკვეული შეზღუდვა არსებობს კანონმდებლობით.

● გარკვეული განაცხადის საფუძველზე ხდება, თუ ავტომატურ რეჟიმში მიმდინარეობს რეგისტრაცია?

- სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში, გაწერილი განრიგის მიხედვით, კონკტერულ რეგიონში ჩასვლა და ყველა მიწის აღწერა მოხდება, მაგრამ თუკი მიწის ნაკვეთის მფლობელი მანამდე მიმართავს საჯარო რეესტრს, რომ დაკანონება სურს, მას 300 ლარის გადახდა მოუწევს, ხოლო თვითნებურად დაკავებული მიწის შემთხვევაში, 600 ლარი უნდა გადაიხადოს. ამიტომ, მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ სისტემური რეგისტრაცია დაიწყო.

შეუძლიათ დაელოდონ და ტყუილად არ გადაიხადონ თანხა. ეს პროცესი სულ 2 წელი გრძელდება და 2024 წლის ბოლომდე დასრულდება და თუ აუცილებლობა და საჩქარო არ არის, საჯარო რეესტრის მიერ სრულიად უფასოდ ხდება ამ მომსახურების გაწევა და ადამიანს არც 300 და არც 600 ლარის გადახდა აღარ მოუწევთ. სისტემური რეგისტრაცია არის პროცესი, როდესაც სახელმწიფო თავისი ინიციატივით მიდის მოქალაქესთან, აზომავს მიწის ნაკვეთს, მოიძიებს ყველა შესაბამის დოკუმენტაციას და არეგისტრირებს. ჩვენს შემთხვევაში, ეს მოქალაქისთვის სრულიად უფასო გახლავთ. ერთადერთი, რაც მოქალაქეებმა ამ შემთხვევაში უნდა გააკეთონ, არის ის, რომ საჯარო რეესტრის წარმომადგენლებს დაელოდონ.

● აგრძელებს თუ არა საქმიანობას აღიარების კომისიები?

- აღიარების კომისიები საქმიანობებს აგრძელებენ თვითმმართველ ქალაქებში, ხოლო მინიციპალიტეტებში 2025 წლის 1 იანვრამდე თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

● გაიცემა თუ არა მუნიციპალიტეტების მიერ ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ მიწის ნაკვეთი გაცემული იყო საკარმიდამო ანდა საოჯახო მეურნეობის მოსაწყობად?

- მსგავსი შინაარსის ცნობის გაცემის უფლებამოსილება მუნიციპალიტეტებს შეუჩერდათ 2025 წლის 1 იანვრამდე. მსგავსი ტიპის ნაკვეთებზე აღიარების საკითხს განიხილავს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სიტემური რეგისტრაციის ფარგლებში დადგენილი წესით.

ესაუბრა ნანო მელიქიძე

საქართველო - თაფლის ცივილიზაციის ქვეყანა

ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საქმე დაიწყო! მეფუტკრეობა რომ საქართველოსთვის, ქართველებისთვის უმნიშვნელოვანესი დარგია, ეს ვიცით. ამ კუთხით ქართული ეკონომიკის გაძლიერებისთვის სხვადასხვა ბიზნესში დაკავებული ადამიანებიც ინტერესდებიან და მხარდაჭერას უცხადებენ, მათ შორისაა ბორჯომელი - **სოსო ორჯონიკიძე.** მეცნიერთა კონგრესი, მეფუტკრეთა გილდია უკვე აქტიურად მუშაობს აღნიშნული დარგის განვითარების პროექტზე და პრეზენტაციაც შედგა. წარმოდგენილი „თაფლის სალონი“ დააკავშირებს ყველას იმ უძველეს ტრადიციებთან - მეფუტკრეობის კულტურასთან, რომელიც 5500 წელს ითვლის და ამ კუთხით უთუოდ, გაძლიერდება ეროვნული მემკვიდრეობის დიდი საქმე. პრეზენტაციაზე წარმოდგენილი გახლდათ ჩურჩხელაც, რომელითაც თაფლით დამზადდა, ტყლაპიც, ძმარი, რომლის მთავარი ინგრედიენტი თაფლია და იგი აღიარეს მეცნიერებმა, როგორც XXI საუკუნის ადამიანის იმუნოსისტემისთვის სასარგებლო პრეპარატად. დახლებზე განთავსებული იყო რამდენიმე სახეობის თაფლი. ამ პროექტის ერთ-ერთი მიზანი მოხმარების კულტურაც არის, ბრძანებს ბატონი სოსო ორჯონიკიძე, რადგან დღეს ჯანმრთელობა ყველაზე მთავარია და თაფლის გამოყენება როგორც სამკურნალოდ და როგორც საკვებად უდიდესი მონაპოვარია. აკადემიკოსმა, ბატონმა **როინ მეტრეველმა** უბადლოდ აღნიშნა ბატონი სოსო ორჯონიკიძის ღვაწლი:

- სოფლის მეურნეობის ეს დარგი - მეფუტკრეობა უძველესი ისტორიის ნაწილია, დღეს კეთდება ეროვნული საქმე. მესვეურებს ამ საქმისა ყველას მადლობა ეკუთვნის. მთელი ცხოვრება ბატონ სოსო გატარებული აქვს სამშობლოს სიყვარულში. იყო პერიოდი, როცა იგი მოშორებული გახლდათ საქართველოს, მაგრამ მაინც მამულზე ფიქრობდა. როგორც კი ფეხი დადგა მშობლიურ მიწაზე, მაშინვე უკვე არაერთხელ დაამტკიცა ეს სიყვარული საქმით.

- ბატონი სოსო დაახასიათეს სხვებმაც, როგორც მსოფლიოში მიმდინარე პროცესების კარგი მცოდნე და საქართველოში საჭირო ინიციატივების დამნერგავი. ის, როგორც ბორჯომის ხეობის წარმომადგენელი წარმოჩინდა დიდი საქმეების ხელშემწყობ პიროვნებად. თუ სახელმწიფო სწორად იმუშავებს, ქართულ თაფლს შეუძლია მოიპოვოს დიდი გამარჯვებები და აღიარებები. ბიოთაფლი ხომ ის პოტენციალია, რომლითაც ქვეყანა გაძლიერდება.

ცხოველთა იდენტიფიკაციის მეორე ფაზა დაიწყო

ცხოველთა იდენტიფიკაციისა და სურსათის უვნებლობის ხელშეწყობისთვის NAITS-ის პროექტის მეორე ფაზა დაიწყო.

ცხოველთა ეროვნული იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის სისტემის, NAITS-ის წარმატებით განხორციელების შემდეგ, პროექტის მეორე ფაზა დაიწყო. პროექტს ახორციელებს სურსათის ეროვნული სააგენტო FAO-ს ტექნიკური მხარდაჭერითა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით.

NAITS-ის ელექტრონული სისტემა აერთიანებს ინფორმაციას შინაური ცხოველების შესახებ, რომელთა იდენტიფიცირებასაც კანონი ითვალისწინებს, ასევე, მათი ადგილსამყოფელის, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული აქტივობების და მფლობელების შესახებ მთელი საქართველოს მასშტაბით.

პროექტის პირველი ფაზის განმავლობაში შეიქმნა და დაინერგა ელექტრონული სისტემა. მეორე ფაზა კი მიზნად ისახავს სისტემის მდგრად განვითარებასა და მასში მეტი დაინტერესებული მხარის ჩართვას; ის განსაკუთრებით შეეხება სფეროსთან დაკავშირებულ კომერციულ სექტორსა და მომხმარებლებს, რათა NAITS-ის სისტემაში თავმოყრილი ინფორმაციით მხარეებმა მაქსიმალურად ისარგებლონ.

"NAITS-ი მიზნად ისახავს უზრუნველყოს სისტემის მდგრადობა და გრძელვადიანი გავლენა საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე, ცხოველთა ჯანმრთელობაზე, სურსათის უვნებლობასა და საერთაშორისო ბაზრებზე წვდომაზე. ამისათვის კი საჭირო გარემო უნდა შევქმნათ და დაინტერსებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობა უზრუნველვყოთ. მოხარული ვართ, რომ ამ წარმატებული პროექტის გაგრძელების საშუალება გვაქვს და ველით სხვადასხვა მხარესთან თანამშრომლობას", - განაცხდა **დრაგან ანგელოვსკიმ,** პროექტის მენეჯერმა.

ხორცისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტის მიკვლევადობა, რომელსაც NAITS-ი ემსახურება, სურსათის უვნებლობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მომხმარებლებისთვის უვნებელი ცხოველური წარმოშობის პროდუქტების მიწოდებასთან ერთად, პროგრამა წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოს სასურსათო სისტემის გაუმჯობესების გზაზე და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) შესრულებაში.

NAITS-ის სისტემა ამ ეტაპზე 25 სხვადასხვა მოდულისგან შედგება. მასში დარეგისტრირებულია სურსათის ეროვნული სააგენტო ასობით ვეტერინარი და ინსპექტორი, იქვე თავმოყრილია მონაცემები მილიონზე მეტ მსხვილფეხა საქონელსა და მათ მფლობელებზე. სისტემაში ცხოველების შესახებ იძებნება ისეთი ტიპის ინფორმაცია, როგორიცაა, მათი წარმოშობა, გადაადგილება, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული აქტივობები, დაკვლის წინა და დაკვლის შემდგომი ინფორმაცია, რათა ცხოველური წარმოშობის პროდუქტი „ფერმიდან - სუფრამდე“ პრინციპით, დოკუმენტირებული და სრულად მიკვლევადი იყოს. NAITS-ი ასევე სამომხმარებლო მოდულსაც მოიცავს: R კოდის დახმარებით მყიდველებს საშუალება ეძლევათ, ცხოველური წარმოშობის პროდუქტის ყიდვისას მათი წარმომავლობის შესახებ მნიშვნელოვანი საბაზისო ინფორმაცია წამებში გაარკვიონ.

საქართველო რეგიონში პირველი ქვეყანაა, რომელმაც NAITS-ი დანერგა. მისი შექმნის პროცესში გათვალისწინებულია საქართველოში არსებული რეალობა და კანონმდებლობა, ასევე ევროკავშირისა და ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნების გამოცდილება. სისტემით უკვე სხვა ქვეყნებიც დაინტერესდნენ. ჩრდილოეთ მაკედონიამ ოფიციალურად ითხოვა NAITS-ის დანერგვა, ხოლო ინტერესი ასევე გამოხატეს ალბანეთმა, უზბეკეთმა, ყირგიზეთმა, მონღოლეთმა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებმა.

კონტაქტი: 599104043, Rusudani.Panozishvili@fao.org

რუსუდან ფანოზიშვილი, კომუნიკაციის კონსულტანტი

მიწის სისტემური რეგისტრაცია დაიწყო

სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში უფასოა შემდეგი მომსახურება:

- **უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების მოძიება და სისტემატიზება;**
- **საკადასტრო აგეგმვითი-აზომვითი ნახაზის მომზადება;**
- **საკადასტრო მონაცემის ცვლილება;**
- **საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია;**
- **საკადასტრო აგეგმვითი-აზომვითი ნახაზის გარეშე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის დაზუსტება;**
- **გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დამოწმება;**
- **დავების გადაწყვეტა (სანოტარო მედიაცია);**
- **მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ და თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარება;**
- **ფაქტების კონსტატაცია;**

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თავად შეასრულებს ყველა იმ პროცედურას, რომელიც საჭიროა ნაკვეთის რეგისტრაციისთვის **და თქვენ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში სიარული და დამატებითი ხარჯის გაწევა აღარ მოგიწევთ.**

აღნიშნულ პროცესში თქვენ უნდა დაელოდოთ თქვენსავე დასახლებაში სისტემური რეგისტრაციის სამუშაოების დაწყებას და ადგილზე მოსულ საჯარო რეესტრის ამზომველთა ჯგუფებს ნაკვეთების საზღვრები სწორად მიეთითოთ.

რა ფართობი შეიძლება იყოს აღიარებული ჯამურად ერთ ფიზიკურ პირზე ან კომლზე (კომლის წევრებზე)?

აღიარებული მიწის ნაკვეთების ფართობი (ითვლება აღიარების კომისიის მიერ უკვე აღიარებული ფართობებიც) ერთ ფიზიკურ პირზე ან კომლზე (კომლის წევრებზე) ბარში არ უნდა აღემატებოდეს 1,25 ჰა-ს, ხოლო მაღალმთიან დასახლებაში - 5 ჰა-ს.

უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებად შეიძლება ჩაითვალოს:

- **მიწის მიღება-ჩაბარების აქტი;**
- **მებაღეობის ამხანაგობის მიერ გაცემული მებაღის წიგნაკი;**
- **მიწის სისტემური რეგისტრაციის სააღრიცხვო ბარათი;**
- **საკომლო წიგნიდან ამონაწერი;**
- **ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხვის დამადასტურებელი ცნობა-დახასიათება;**
- **მიწის გადასახადის გადამხდელთა სია;**
- **მიწის განაწილების სია;**
- **მიწის ნაკვეთის მიმაგრების აქტი; სასამართლოს აქტი;**
- **სხვა დოკუმენტი, რომლითაც მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება ან მისი მართლზომიერი მფლობელობა დასტურდება.**

გზა დავულოცოთ აბიტურიენტებს

„აკეთეთ მხოლოდ ის, რაც ყველაზე მეტად გიყვართ. ეს აუცილებლად მიგიყვანთ წარმატებამდე. ყოველდღე მე ვუყურებდი ჩემს თავს სარკეში და ვეკითხებოდი: დღეს რომ ჩემი ცხოვრების ბოლო დღე იყოს, მენდომებოდა თუ არა იმის გაკეთება, რაც დღეს უნდა გავაკეთო? და თუ პასუხი რამდენიმე დღის განმავლობაში იქნებოდა „არა“, ეს ნიშნავდა, რომ რაღაც უნდა შემეცვალა“. - ამბობს სტივ ჯობსი. დიახ, აბიტურიენტების მიზანი უნდა იყოს კარგად არჩეულ მიმართულებაზე მაღალ ქულებზე ჩაბარება. დაწყებულია მომავალი სტუდენტების გამოცდების ციებ-ცხელება ერთიანი ეროვნული გამოცდების სახით. „შენს სამსახურს შენი ცხოვრების დიდი ნაწილი უჭირავს, კმაყოფილების მისაღწევად ერთადერთი გზაა, აკეთო დიდებული საქმეები. დიდებული საქმის საკეთებლად ერთადერთი გზაა გიყვარდეს ის, რასაც აკეთებ. თუკი საყვარელი საქმე ჯერ არ გიპოვია, განაგრძე ძიება. არ გაჩერდე. როდესაც იპოვი, აუცილებლად მიხვდები“ - ამბობს ჭკვიანი კაცი და ძნელია, არ დაეთანხმო! საბჭოთა პერიოდიდან დღემდე გვაქვს შემდეგი სტრეოტიპული მოცემულობა: ყველა უნდა გახდეს სტუდენტი! ჯერ კიდევ 1960-იან წლებში ძალიან დიდი სირცხვილი იყო თუ სტუდენტი ვერ გახდებოდი. მშობლებისთვის ეს იყო დიდი სირცხვილი, თუ შვილი სადმე ვერ ჩააბარებდა. ხალხს რა ვუთხრა - იყო ფრაზა გამანადგურებელი, რადგან ოდითგანვე საზოგადოების აზრი იყო მნიშვნელოვანი. ამ მხრივ დღესაც დიდად არაფერი შეცვლილა: ნებისმიერ მშობელს უნდა შვილმა ჩააბაროს უმაღლესში და უკეთეს შემთხვევაში ყავდეს განათლებული მეკვიდრე. 17 წლის ასაკში ძნელია აირჩიო პროფესია. საკამათო საკითხია, მაგრამ დღესაც შესვდებით მოზარდებს, ემზადებიან, მაგრამ არ იციან, სად და რაზე გააგრძელონ სწავლა. საბჭოთა ეპოქაში ყველა უნდა ყოფილიყო ერთნაირი, განსხვავებულს არ იღებდა მაშინდელი საზოგადოება, კეთილგანწყობით უყურებდა. არადა, პიროვნული თავისუფლება ხომ ესაა: შენი ინდივიდუალიზმი გქონდეს და თუ ფოთოლი არ არსებოს ერთნაირი მსოფლიოში, ადამიანი რატომ უნდა არსებობდეს? როცა ამბობს უფროსი თაობა - რა გაკლდათ, რას უწუნებთ საბჭოთა ეპოქასო, სწორედ, რომ გიზღუდავდნენ პიროვნულ თავისუფლებას. ბევრი შემკამათებია: მაშინ იყო განათლება თუ იყო, მაშინ იყო უფრო გამართული სისტემაცო და მკაცრი დისციპლინა ქმნიდა წესრიგსო. მაშინ მასა ერთნაირი იყო და თუ ვინმე „თეთრ ყვავობას“ დაიჩემებდა, თუნდაც შემოქმედებით, ინიციატივებით, გარეგნული სტილით, წააწყვიტავდნენ დაუმორჩილებლობისთვის კისერს. არადა, ახალგაზრდამ სკოლის დასრულების შემდეგ მნიშვნელოვანია იპოვოს, მიაგნოს საკუთარ თავსაც და საკუთარ საქმესაც. ცხოვრებაში იპოვო შენი ადგილი - ეს ძიების პროცესია და ტრაგედია კი არ უნდა იყოს, თუ ვერ აგნებს ადამიანი თავის მომავალ გზას. საქართველოს პარლამენტში ამდენი დეპუტატია და ყველამ, დავიჯერო მიაგნო თავის საჭირო ადგილს?

საინტერესოა, რა არჩევანი გააკეთეს წლევანდელმა აბიტურიენტებმა და რას ფიქრობენ დღევანდელები:

ცოტნე ლომიძე: ისტორიულზე გადავწყვიტე ჩავაბარო, რადგან მომავალმა თაობამ - პირადად მე მინდა ღრმად და ზედმიწევნით ვიცოდე როგორც ჩემი ქვეყნის, ისე მსოფლიო ისტორია. რატომ ვერ ვაქტიურობთ დღეს ახალგაზრდები, როცა საქმე ისტორიის ცოდნაზე მიდგება? იმიტომ, რომ არ ვკითხულობთ, რა იყო და ეს ნიშნავს, რომ არ გვაინტერესებს ჩვენი მომავალი. შეიძლება ნაკლებად მოთხოვნადია ეს პროფესია, მაგრამ საგნის ინტერესმა და მასწავლებლის ფაქტორმაც გადამაწყვეტინა ეს ნაბიჯი! მთავარია ვაკეთი ის, რისი კეთებაც მოგმანჭებს ბედნიერებას. ამისთვის თუნდაც მომიწიოს სკოლაში ისტორიის მასწავლებლად მუშაობა. მიმდინარე გამოცდებში ჯერ იმედით მივდივარ, კარგად დავწერე ყველაფერი. სკოლისა და მასწავლებლების დიდი დამსახურებაა, რომ ნათლად დავინახოთ ჩვენი ხვალინდელი დღე.

ნინი კოპაძე: სამართალზე ვაბარებ. ნერვიულობა ახლავს გამოცდებს და იმედია, გადავლახავ ამ გამოწვევას. ბავშვობიდან მომწონს სამართალმცოდნეობა. წელს თითქოს შევიცვალე აზრი, მაგრამ საბოლოოდ მაინც პირველად სამართალი დავწერე. ეს პროფესია ჩვენ ქვეყანაში მუდმივად საჭიროა! ჩემი მომავალიც უკავშირდება იმ სურვილს, რომ სამართლიან ქვეყანაში მომიწიოს ცხოვრებამ და „სამართალმა პური ჭამოს“ არ იყოს ტყუილად ნათქვამი საზოგადოებისთვის! ყველაფერს გავაკეთებ, რომ სამართალმა იზეიმოს იქ, სადაც მე მომიწევს მოღვაწეობა. ერთი ვერ შეცვლის უკეთესობისკენ, მაგრამ შემოვიკრებ საღი აზრის მქონე მეგობრებს.

დავით კიკნაძე: გადავწყვიტე ჩავაბარო ილიას უნივერსიტეტში ბიზნეს ადმინისტრირებაზე ტურიზმის მიმართულებით. ამ კუთხით ჩვენ ქვეყანას დიდი პოტენციალი აქვს და მით უფრო, ჩემ ქალაქს - ბორჯომს. მომავალს ვხედავ ამ პროფესიაში, რადგან მიმაჩნია, რომ უფრო განვითარებადია. რაც შეეხება გამოცდებს, უკვე ზოგიერთ მათგანზე გავედი და მგონია, რომ მეტი შემეძლო. მხოლოდ ერთი პროფესიის ამარა არ ვიქნები. ჩემი ცხოვრება აქტიურად დავუკავშირე ჯანსაღი ცხოვრების წესს - კალათბურთს და იმედი მაქვს, აქაც დავიმკვიდრებ თავს წარმატებით. დაბრუნებისა რა გითხრათ, თუმცა არასდროს მოვაკლებ ყურადღებას მშობლიურ მხარეს. რატომ ვამბობ ასე პირდაპირ? შეიძლებოდა ბევრი რამ გვქონოდა აქ, მაგრამ ახლა ჩვენ ახალგაზრდებს, რაც დაგვაკლდა ბორჯომის რეალობაში, მინდა იგივე რეალობა არ ჰქონდეთ ჩვენს შემდეგ წამოსულ თაობას. ყოველთვის მზად ვიქნები ამ კუთხით ხელშეწყობისთვის“.

მონიკა ჭანტურია

ნამცხვრის სახლი ბორჯომში

უკვე ათი წელია, რაც ახლციხეში თავისი კუთვნილი ნიშა აქვს ნამცხვრისა და პიცის სახლს. რა განაპირობებს ამ წარმატებას? - ხარისხი, სისუფთავე და ხელმისაწვდომი ფასები.

10 ივლისს, ბორჯომში, რუსთაველის ქ. №14-ში ოფიციალურად საზეიმოდ გაიხსნა ახლაციხის ფილიალი. ზღაპრის გმირებითა და უამრავი ტკბილეულით გაახარეს და გაამხიარულეს ბავშვები. ნამცხვრისა და ტორტების ფართო არჩევანი ყოველთვის თვალს გვჭრიდა და კარგია, რომ იგივე „სამოთხე“ გაჩნდა ჩვენ ქალაქში. ტურისტებით დატვირთულ ქალაქს ნამდვილად სჭირდებოდა ალტერნატიული სივრცე, რადგან ვერ დავიკვეხნით ბევრი კაფეებითა და გემრიელი ადგილებით, სადაც არ გეთაკილება მიიყვანო სტუმარი, ან საერთოდაც განიტვირთო ოჯახთან ერთად სიმყუდროვეში. - მართალია, ჯერ, პირველ ეტაპზე, სამაგიდო სივრცე არ არის, მაგრამ პერსპექტივაში ძალიან კარგი ხედი მტკვრის პირზე და ოაზისური დიზაინისთვის მზადება დაწყებულია, ასევე, წვრილმანი ტექნიკური გაუმართაობაც მოწესრიგდება. აუცილებლად შეივსება ის ხაზი, რაც ახალციხეში გვაქვს. პირველ ჯერზე 5 გოგონა დავასაქმეთ ადგილობრივად, ხოლო ცოტა ხანში კადრებს გავზრდით თორმეტამდე. ჩვენი ინტერესია მაქსიმალურად შევინარჩუნოთ მაღალი ხარისხი, ყველანაირად ვეცდები ბორჯომს თავი შევაყვარო. - გვითხრა ობიექტის მენეჯერმა, ქალბატონმა **ლალი სამსონიძემ**

მონიკა ჭანტურია

მიმდინარეობს პარკის სარეაბილიტაციო სამუშაობი

ბაკურიანის რეკრეაციულ პარკში ორი თვეა სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში სრულიად განახლდება პარკის ინფრასტრუქტურა. პარკში მიმდინარე სამუშაოებზე გვესაუბრება სამუშაოთა მწარმოებელი **ზვიად შარიქაძე:** - ბაკურიანის პარკის რეაბილიტაცია წელინწადნახევარში უნდა დასრულდეს. ორი თვეა, რაც სამუშაოები დავიწყეთ. მიმდინარეობს სტადიონის მშენებლობა, რომლის გვერდზეც იქნება ტრენაჟორებით აღჭურვილი სპორტული მოედანი. პარკის შემოსასვლელში მოეწყობა პარკინგი. პარკის ტერიტორიაზე იქნება ორი ტიპის საფეხმავლო ბილიკი - ქვიშის და საჰაერო, შშმ პირებისათვის. მთავარ შემოსასვლელთან აშენდება ადმინისტრაციული შენობა. პარკში არსებული ყინულის მოედნის რეაბილიტაცია ამ პროექტის ფარგლებში არ შედის. ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში დამონტაჟდება ბავშვთა გასართობი მოედნები. რაც შეეხება პარკის გამწვანებას, ბევრი ახალი ნარგავი შეემატება აქაურ ფლორას. კარგი პროექტია ძალიან და ლამაზად გამოვა ყველაფერი, ხალხი კმაყოფილი დარჩება. პროექტი მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება.

რა თქმა უნდა, მუშაობაში ძალიან შეგვიშალა ხელი ზაფხულის დასაწყისის წვიმიანმა ამინდებმა, ცხადია, ზამთარშიც შევწყვეტთ გარკვეული ხნით სამუშაოს ყინვისა და თოვლის გამო. ზუსტად ამ კლიმატური პირობების გათვალისწინებით გრძელდება ასე დიდხანს პარკის პროექტი. ამჟამად სადემონტაჟო სამუშაოებს უკვე მოვრჩით და დავიწყეთ მშენებლობა, დიკვალა გზა, კეთდება გეოდეზირება და აშ. სამუშაოებში ჩართულები არიან მუშები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან, მუშაობენ ადგილობრივებიც.

რაც შეეხება სტადიონს, ის იქნება სტანდარტული ზომის და იმავე ადგილას, სადაც იყო ძველი სტადიონი. მას გაუკეთდება სადრენაჟო სისტემა, შეივსება ღორღით და აღარ იქნება წყლის ჩაგუბების საშიშროება. პარკის მთელ ტერიტორიაზე განთავსდება საბაღე სკამები. მოეწყობა ოკამდე სავაჭრო ჯიხური, თუმცა შემდეგ რა დანიშნულება ექნება მათ, ჩვენ არ ვიცით, იქნება ეს სწრაფი კვების ობიექტები თუ სხვა რამ.

სამუშაოები აქტიურ ფაზაშია და ამ პროექტში დაკავებული ყველა ადამიანი პასუხისმგებლობით უდგება თავის საქმეს.

რუსუდან სხირტლაძე

სამინისტროს საჩუქარი წარჩინებულ მოსწავლეებს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო წლებია გადასცემს პერსონალურ კომპიუტერებს იმ საბაზისო საფეხურის მოსწავლეებს, რომელთაც VII, VIII, IX კლასის ჩათვლით ყველა საგანში მაქსიმალური შეფასება (10 ქულა აქვთ). ბორჯომის რაიონში არსებული სკოლის წარჩინებული მოსწავლეებიც უკვე წლებია სამინისტროს მიერ დაწესებულ საჩუქარას ღირსეულად იღებენ. რას თავის მხრივ გულისხმობს თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძვლიანად ფლობას და ეს ყოველივე კიდევ მეტ მოტივაციას აძლევს მოსწავლეებს, რათა მათ უკეთ ისწავლონ და სამომავლოდ საკუთარი შესაძლებლობების კიდევ მეტად ირწმუნონ.

ამ მხრივ, არც 2022 სასწავლო წელი არ აღმოჩდა გამონაკლისი. საქართველოში არსებული სკოლების მსგავსად წარჩინებულმა მოსწავლეებმა ბორჯომში არსებული სკოლებიდანაც მიიღეს პერსონალური კომპიუტერები. რას ნიშნავს მათთვის სამინისტროს მხრიდან მიღებული საჩუქარი და რამდენად დიდი მოტივაციაა აღნიშნული ფაქტი მათთვის, რამდენიმე მათგანს გავესაუბრე:

სალომე მირონოვი, ბორჯომის №1 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე: - ჩემი აზრით სამინისტროს, სკოლისა და რესურსცენტრის მხრიდან წარჩინებული მოსწავლეების დასაჩუქრება მისასალმებელი ფაქტია, რადგანაც ეს ყოველივე გვაძლევს დიდ სტიმულს და მოტივაციას, რომ კიდევ ბევრი შრომა ჩავდოთ საკუთარ განათლებაში. ვხედავთ, რომ ის, რაც ვიცით, დაგვიფასდება თითოეულ ჩვენგანს. მინდა ჩემ თანაკლასელებსაც მივულოცო წარმატება, რომელთაც დიდი შრომის შედეგად მიაღწიეს ნამდვილად დიდი წარმატება და წინსვლა ვუსურვო. უღრმესი მადლობა გადავუხადო ჩვენს დირექტორს, ქალბატონ **ჯულიეტა ჯინჯოლავას** და ჩვენს დამრიგებელს ქალბატონ **ეთერ სანდაძეს** გაწეული ღვაწლისთვის და ჩვენი წარმატების ხელშეწყობისთვის, მადლობა რესურსცენტრის ხელმძღვანელს, ქალბატონ **იზოლდა ლომიძეს** ჩვენი შრომის დაფასებისა და დასაჩუქრებისათვის.

ნიკოლოზ ცაბაძე, ბორჯომის №3 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე: - პირველ რიგში მადლობელი ვარ იმის, რომ სკოლამ და განათლების სამინისტრომ დამიფასა შრომა და მომცა იმის სტიმული, რომ უკეთესად ვისწავლო. თითოეული მოსწავლისათვის წამახალისებელია ნებისმიერი მატერიალური თუ ემოციური მხარდაჭერა. აქედან გამომდინარე, მოსწავლეს უჩნდება იმის სურვილი, რომ საკუთარი თავი მაქსიმალურად განავითაროს.

ნინი კახელი, ბორჯომის №1 საჯარო სკოლის XI კლასისი მოსწავლე: - მიხარია რომ შრომა დამიფასდა, მეტი სტიმულის მომცემია, როცა იცი, რომ შენი სწავლა ღირსეულად შეფასდება. მოტივაციას გაძლევს, რომ უფრო და უფრო მეტი გააკეთო მომავალში და წარმატებული იყო.

თინათინ კიკნაძე, №1 საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე: პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ სახელმწიფოსაგან მოსწავლეების მსგავსად წახალისება ძალიან კარგი ინიციატივაა, მოსწავლეების უმეტესობისათვის, (მათ შორის ჩემთვისაც) ნამდვილად მოტივაციის მომცემია მსგავსი ღონისძიებები. მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და ჩემი თითოეული საგნის მასწავლებელს დიდი მადლობა გადავუხადო გვერდში დგომისა და დახმარებისათვის, თითოეულ მათგანს განსაკუთრებით კი ჩემს დამრიგებელსა და მშობლიური ენის მასწავლებელს ქალბატონ **ლია გულიკაშვილს** და სკოლის დირექტორს ქალბატონ **ჯულიეტა ჯინჯოლავას.**

სალომე თაბუნიძე, ბორჯომის №4 საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე: - მადლობას მოვუხდი ჩემ მასწავლებელებს ჩემთვის დიდი ცოდნის მიღების საქმეში. მათი დამსახურებაა დღეს თუ რამეს მივაღწიე. განსაკუთრებული მადლობა ჩემ დამრიგებელს დარეჯან შუღლიაშვილს. ძალიან გახარებული ვარ. ეს ერთგვარი მოტივაციაა სწავლის უკეთ დაუფლებისათვის. მადლობა მათ ამისთვის.



ზაალ მეხრიშვილი, ბორჯომის №6 საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე: - სიმართლე გითხრათ, არ ველოდი. ძალიან მოულოდნელი საჩუქარი იყო. უდიდესი მადლობა ჩემ სკოლას, რესურს ცენტრს, სამინისტროს მოულოდნელი საჩუქრისათვის, სკოლის დირექტორს - **ქეთევან ხაჩიძეს.** სამომავლოდ პროგრამირებაზე ვაპირებ ჩაბარებას და პერსონალური კომპიუტერი არის ის, რაც მომავალ პროფესიულ საქმიანობაში ნამდვილად დამეხმარება.

მოამზადა ნატო მელიქიძემ

იუბილე მიულოცეს

ნოდარ კოზანაშვილს, ბაკურიანის მკვიდრსა და ერთ-ერთ უხუცეს ადამიანს, სპორტის აქტიურ მხარდამჭერს 90 წელი შეუსრულდა.

ბატონი ნოდარი თავის დიდი სპორტული ოჯახით უკვე ორმოცწელზე მეტია ყოველწლიურად ასპარეზობს ბაკურიანობის სახალხო დღესასწაულზე. ასაკის მიუხედავად არც თავის მეურნეობის მოვლაზე ამბობს უარს და თავის დანებებასაც არ აპირებს, და მომავალ ბაკურიანობის დღესასწაულებზეც ისევ დასპარეზებს თხილამურებით და ისევ დაიმსახურებს ჯილდოებს და პრიზებს, როგორც წინა წლებში. ასეთი ენერგიული, აქტიური და ჯანსაღი ცხოვრების წესით ის ახალგაზრდობას მაგალითს აძლევს.

ბაკურიანის განვითარების სააგენტომ ყურადღების გარეშე არ დატოვა მხცოვანი ბაკურიანელი. სააგენტოს ხელმძღვანელმა ქალბატონმა **ეკატერინე ინე ორჯონიკიძემ** თავის გუნდთან ერთად მიულოცა დაბადების დღე ბატონ ნოდარს, სააგენტოს სახელით ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე უსურვა და მადლიერების სიგელი გადასცა. სიგელი გვამცნობს: „სოფლის კოლორიტს, მშრომელ, მეოჯახე, ერთგულ ადამიანს, სპორტის აქტიურ მხარდამჭერს – ნოდარ კოზანაშვილს“.

მრავალჟამიერ, ბატონო ნოდარ!

ლიბერთი ბანკს პანდუსი სჭირდება!

ქალბატონი ანიკო (ჩადუნელი) საუბრისას ხშირად მეუბნება, რომ ლიბერთი ბანკში, როდესაც გადაუდებელი აუცილებლობის გამო მისვლა უწევს მეუღლესთან ერთად, რომელიც ათეული წელია ეტლის გარეშე ვერ გადაადგილდება და მიუხედავად ამ გარემოებისა, ბანკში მისვლას ეტაპობრივად საჭიროებს ხოლმე, პანდუსის არ არსებობის გამო შენობაში მოხვედრა მისთვის კიდევ უფრო მეტი დისკომფორტის შემქმნელია.

იმის გათვალისწინებით, რომ ლიბერთი ბანკის მომსახურებით სარგებლობენ პენსიონერები, შშმ პირები სავალდებულოა მათ უზრუნველყონ, რომ სპეციალური საჭიროების მქონე მოქალაქეებმა ისარგებლონ პანდუსით და გადაადგილება შეძლონ, ისევ მათი მოთხოვნიდან გამომდინარე.

ყოფილა შემთხვევები, როდესაც ლიბერთი ბანკის ავტომობილით სურდათ მომსახურების მიღება, მაგრამ შეუძლებელი ყოფილა და ისევ კიბეებით უსარგებლიათ და ეს პროცესი არც თუ მარტივია. კიბეების საშუალებით გადაადგილო შსმ პირი, ოპერატორთან მომსახურების მისაღებად.

ვფიქრობ, ან სერვისი უნდა შეცვალონ და უფრო მარტივი და ხელმისაწვდომი გახადონ მომსახურება, ან შედარებით გაუმჯობესონ და შესაბამისად კეთილმოაწყონ გარემო და დაამონტაჟონ პანდუსი.

მარტივად მოსაგვარებელი საკითხით სხვას რთულ ცხოვრებას მცირედ მაინც შეუმსუბუქებთ.

ბატონმა თედორემ მითხრა, ბორჯომში საქართველოს ბანკს აქვს პანდუსი, თუმცა იქ მომსახურება არ მიწევს. ლიბერთიში ირიცხება პენსია, სოციალური დახმარება, რომელის მონაცემთა განახლება ხდება ეტაპობრივად, ამიტომ იქ მისვლა მიწევს ხოლმე და წლებია გარემო არ იცვლება. სურვილი კი სურვილად რჩება.

ცხადია, საზოგადოებაში გასვლის სურვილი ნაკლებია ეტლით მოსარგებლეთათვის, მათთვის განკუთვნილი ავტომობილების საპარკინგე ადგილებზეც, მუდამ დგას სპეციალური ავტომანქანა, საიდანაც გადადიან და სხდებიან, როგორც საჯარო ასევე სამოქალაქო პირები, ყოველგვარი განცდის გარეშე. ისინი კი კარებისა და ფანჯრის ზღურბლიდან ელიან, გაჰყურებენ... მე ვიცი, არასდროს დავაყენებ ავტომობილს ინვალიდის ეტლით მოსარგებლის ადგილზე.

და იქნებ, მომავალ ვიზიტამდე, პენსიონერთათვის და შშმ პირთათვის ლიბერთი ბაკის შენობაში მოსახვედრად, როცა მომსახურების პირობები ასეთი გაქვთ, თქვენამდე მოსასვლელად პანდუსი კეთილმოაწყოთ. ეს ხომ ელემენტარულია და არც თუ ისე რთული.

იზა იანვარაშვილი

რა წავაკითხოთ მოზარდებს?

ამ სათაურით საგაზეთო წერილს თითქმის ყოველი ზაფხულს გთავაზობთ, რადგან მშობლებისა და მოსწავლეების ინტერესი დიდია და პირველ რიგში, დიდი მადლობა მკითხველს. ჭონიათ, აქაოდა წიგნებს აღარ კითხულობენო, ასეც არაა საქმე! გააჩნია მასწავლებელი როგორ და რა კუთხით მიაწვდის რჩევას, მათთვის აქტუალურ, მიმზიდველ ლიტერატურას. ახალი წიგნები, თან ქართველი ავტორის არ არის საეჭვარი. წიგნის მაღაზიებში ახალგამოცემული წიგნი სიძვირით გამოირჩევა, მათი საშუალო ფასი 12 ლარიდან 16 ლარამდე მერყეობს, თუმცა დაინტერესებული მოსწავლე არ იშურებს ამ კონკრეტულ თანხას იმისთვის, რომ ჰქონდეს საინტერესო ზაფხული.

დავიწყებდი შედარებით მცირე ასაკის მკითხველისთვის: ათი-თერთმეტი წლის – ზაირა არსენიშვილის „მოკლე კატოს თავგადასავალი“ და მარიანე კაურინის „ჩვენი სამშრეეთით“. ბავშვები ყველაზე მარტივად და ადვილად ინტერესდებიან თავიანთი ტოლი პერსონაჟის ამბებით, ამიტომ ეცადეთ მათთვის შერჩეულ წიგნებში ასაკითაც შესაფერისი გმირები უპოვოთ.

13-14 წლის ჩემ მოსწავლეებს და არა მარტო მათ, ვურჩევდი წელს ახლადგამოცემული წიგნის წაკითხვას, რომლის სათაურია ასეთი უჩვეულოა: „ჩუმად უნდა იჯდე“. მისი ავტორი თანამედროვე მწერალი, მოქმედი მასწავლებელი, თამარ გეგეშიძეა. რატომ უნდა წაიკითხონ? ამ წიგნის გმირი – შიო ზუსტად თანატოლია მათი და სკოლის ცხოვრებას აღწერს ისე და ისეთი პრიზმით, ყოველდღიურად გადიან ჩვენი მოსწავლეები. ვფიქრობ, ბევრ საკითხზე დააფიქრებს იმ მოსწავლეებსაც, ვისაც მასწავლებლის მიმართ უნებლიე შეცდომები მოსდით, ან იმათ, ვინც ჯერ კიდევ არ იცის თანანკლასელისა და მეგობრობის არსი.

15-16 წლის მოზარდებისთვის საზაფხულოდ წასაკითხად არაჩვეულებრივია უილიამ გოლდინგის „ბუზთა ბატონი“, რომლის განხილვა-გარჩევაც შეიძლება სკოლაშიც მოვაწყოთ, რადგან იქ დასმული პრობლემები ითხოვს დისკუსიასა და დებატებს.

გისურვებთ წარმატებებს ბავშვებო! ზაფხული მხოლოდ გართობისთვის არ გამოყოთ. ეცადეთ, იკითხოთ!

მონიკა ქანდარია

ბოლოს ძვირფასი და პრესტიჟულია

ბორჯომში ცოტა ადამიანი თუ მოიძებნება, რომ გურამიშვილის ქუჩაზე არ იყოს ნამყოფი და არ იცოდეს მისი ადგილმდებარეობა. მართალია პრესტიჟული არ არის, მაგრამ საკმაოდ დიდია და ქალაქის ცენტრთან ახლოსაც არის. პირადად ჩემთვის ძვირფასი და პრესტიჟულია, მიყვარს და გული შემტკივა, ამიტომ გადავწყვიტე ჩემი გულისტკივილი გაზეთის ფურცელზე გადმომეტანა.

კომუნისტების დროს ქუჩა ქვაფენილით იყო დაფარული, დაზიანდებოდა თუ არა, მისი აღდგენა ოპერატიულად ხდებოდა. ყოველწლიურად თუ არა, 5 წელიწადში ერთხელ მთლიანად ხდებოდა ქუჩის რეკონსტრუქცია.

ცხოვრება წინ მიდის, სიახლე ჩვენ ქუჩასაც დაეტყო. ქუჩა მთლიანად მოასფალტდა. როგორც ვიცი, მოასფალტებულ ქუჩას მეეზოვე უნდა ემსახურებოდეს, მეეზოვეს არ დავეძებთ, ამ ბოლო წლებში ორჯერ მაინც გამორჩნდებოდა ხოლმე დასუფთავების სამსახურიდან ბრიგადა და ხდებოდა ქუჩის გასუფთავება. წელს ნამდვილად ვერ ვიტყვი ამას.

დროთა განმავლობაში ასფალტის და მიწის ქვეშ არსებული კომუნიკაციების დაზიანება პერიოდულად ხდება, სწორედ ასეთი ადგილები ბალახით და ხეებითაა დაფარული, ამას ემატება ძაღლების, კატების ფეკალიები და თქვენ წარმოიდგინეთ სასტუმროები, რომლებიც საკმაოდ მომრავლდა ქუჩაზე, მათი დამსვენებელის უმეტესობა ხშირად იყენებს ასეთ ადგილებს ნაგვის დასაყრელად. ყველამ თავთავისი პასუხისმგებლობა უნდა იკისროს, რომ ქუჩა სუფთა და მოწესრიგებული იყოს, მაგრამ ჩვენ რომ გვინდა, ასე არ ხდება. ის დამსვენებელი სწორედ იმ მოუწესრიგებელ ადგილას ტოვებს ნაგვით სავსე პარკს.

ახლა შეიძლება მკითხოთ, მოსახლეობა რას აკეთებს, გამოვიდეს და დაასუფთაოსო. კი მაგაშიც გეთანხმებით, ყველამ თავისი კუთხე-კუნჭულის მიმდებარე ტერიტორია უნდა დაასუფთაოს, მაგრამ, როგორც ყველა ქუჩაზე, აქაც ბევრი სახლი გამოკეტილია და წელიწადში მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ ჩამოდის. არის ისეთი ოჯახები, სადაც მარტოხელა და ინვალიდი ადამიანები ცხოვრობენ. კიდეც რომ მოთხოვო, ვერ შეძლებენ, ამიტომ დასუფთავების ხელმძღვანელობას ვთოვთ თვეში ერთხელ თუ არა, სამ თვეში ერთხელ მაინც იფიქროს მარტო გურამიშვილის ქუჩაზე კი არა, სხვა ქუჩის დასუფთავებაზეც.

ნათელა იჩქიტაძე.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

გაცნობებთ, რომ მომავალი დღეების განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოში შენარჩუნდება მომატებული ტემპერატურა და უნალექო ამინდები, რის გამოც, იზრდება ტყისა და მინდვრის ხანძრების გაჩენის რისკი. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური შესაძლო გართულებების თავიდან ასაცილებლად, მოგიწოდებთ, გამოიჩინოთ მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა, არ დაანთოთ ცეცხლი სასოფლო სამეურნეო სავარგულებზე, ტყის ან ველის სიახლოვეს და არ დატოვოთ ცეცხლის კერები უყურადღებოდ.

გასათვალისწინებელია, რომ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს თვითაალება შეუძლიათ, შესაბამისად ნუ დაანაგვიანებთ გარემოს.

დაკვამლიანების ან ცეცხლის შემჩნევის შემთხვევაში კი დაუყოვნებლივ აცნობეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-ს.

თამარ შენგელიას მოსაგონარი

ქალბატონი თამარ შენგელია ჯერ კიდევ 18 წლის, სამედიცინო სასწავლებლის სტუდენტი გახლდათ, როდესაც ექთნის სტატუსით მობილიზებული იქნა ბორჯომის ბალნეოლოგიურ საავადმყოფოში.

იგი 1922 წლის 20 ივლისს დაიბადა ქალაქ ჩელიაბინსკში. 1940 წლის 27 ივნისს, ომის დაწყებიდან მეხუთე დღეს გამოიჩინეს პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად და მის შემდეგ, თავდაუზოგავად, სასწაული ენერგიითა და ერთგულებით, ყაზარმულ რეჟიმში ზრუნავდა დაჭრილი ჯარისკაცების ჯანმრთელობაზე. იყო უანგარო დონორი და სწორედ ამ ადამიანური დამოკიდებულებით და პროფესიონალიზმით გადაარჩინა უამრავი სიცოცხლე!

ომის შემდეგ მან აქვე განაგრძო პროფესიული ზრდა. კვალიფიკაცია აიმაღლა ფიზიოთერაპიის მიმართულებით და 50 წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა პაციენტებს მთელი პოსტსაბჭოთა ქვეყნების მასშტაბით, რის გამოც დამსახურებულად აქვს მიღებული უამრავი სახელმწიფო ჯილდო, მედლები და ორდენები შრომით, სამოქალაქო და სამხედრო საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. იყო ომისა და შრომის ვეტერანი.

სამწუხაროდ, თამარს საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია, მაგრამ მან ჩვეული ერთგულებითა და გულისხმიერებით, ღირსეულად აღზარდა დის შვილი, ჯონი სარალიძე, რომლის ოჯახი დღესაც სიყვარულით და მადლიერებით ისსენებს ქალბატონ თამარს, როგორც ოჯახის ბურჯსა და ქვეყნის გულშემატკივარს. მას დღეს 100 წელი შეუსრულდებოდა და ოჯახი განსაკუთრებულად აღნიშნავს ამ თარიღს.

მართლაც შეუფასებელია ქალბატონი თამარის ღვაწლი ოჯახისა და საკუთარი ქვეყნის წინაშე, რომელსაც ასე უერთგულა!

ემზარ ჩხაიძის მოსაგონარი



ჩვენო საყვარელო და დაუვიწყარო მამა, 19 ივლისს 20 წელი შესრულდა, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ, ცხოვრება გრძელდება, მაგრამ შენი წასვლით გამოწვეულ ტკივილს ვერაფერი ანელებს. ნატკენი გქონდა, მინდა შვილიშვილებს მოვესწროო, მაგრამ ისე წახვედი, შვილიშვილებს ვერ მოესწარი. ახლა უკვე ხუთი შვილიშვილი გყავს, სამი ქალიშვილი და ორი ვაჟკაცი, რომლებიც სურათებით გიცნობენ, გვიჭირს უშენობა, მაგრამ მაინც ვაგრძელებთ ცხოვრებას, ვიგონებთ იმ დღეებს, რომელიც ყველამ ერთად გავატარეთ და ამ მოგონებებით ვცოცხლობთ.

მთელი შენი სიცოცხლე სიკეთეს თესავდი და ვინც კი გიცნობდა, ყველა სიყვარულით გიხსენებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული და დაგიმკვიდროს სასუფეველი, სადაც მართალნი განისვენებენ.

ისსენებენ: **შეულლე, შვილები, რძლები და შვილიშვილები.**

„ქართული სიმღერა რეგიონების ფარგლებში“

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროექტის „ქართული სიმღერა რეგიონების ფარგლებში“, ბორჯომში, 22 ივლისს, 19 საათზე, ცენტრალურ (ისტორიულ) პარკში ქართული ესტრადის ვარსკვლავების მონაწილეობით კონცერტი გაიმართება.

ჰეეზნიჰნეთ, ჭაპასწორეთ

ჩვენი გაზეთის წინა, 14 ივლისის ნომერში ბატონ **ოთარ გოცირიძის** წერილში სათაურით „განუკითხაობას ბოლო უნდა მოეღოს!“ ბოლო აბზაცში გამორჩენილია ერთი წინადადება. აბზაცი ასე უნდა იკითხებოდეს: „იმედი ვიქონიოთ: ბორჯომის და ბაკურიანის ხელმძღვანელობა ბოლოს მოუღებს ასეთ განუკითხაობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბაკურიანს ალბათ უნდა შევუცვალოთ სახელი და დავარქვათ, ვთქვათ, „ლინტური“.

კორექტული შეცდომისათვის კონკრეტულად დამნაშავე პირი დაისაჯა ადმინისტრაციული წესით.

რედაქცია.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვალერიან ლომაძე

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თეიდორე მღვდლის ქ. №57.

borjomi@inbox.ru